

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

___ აპრილი, 2020 წელი

ქალაქი ბათუმი

საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-4 მუხლისა და „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის №220 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სრულად გათავისუფლდეს 2020 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან.

მუხლი 2.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ზოგიერთი ფიზიკური და იურიდიული პირები, ორგანიზაციები და დაწესებულებები გათავისუფლდნენ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის დაწესებული მოსაკრებლის გადახდისაგან 2020 წელს საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული მდგომარეობის გამო დაწესებული შეზღუდვების მოქმედების პერიოდში, თანახმად დანართისა.

მუხლი 3.

ამ დადგენილებით გათვალისწინებულ პირებს, რომელთაც ამ დადგენილების პირველი და მეორე მუხლით გათვალისწინებულ პერიოდზე გადახდილი აქვთ მოსაკრებელი, გადახდილი თანხა აესახებათ სააბონენტო ბარათზე (რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას), გარდა ამ დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 4.

ამ დადგენილებით გათვალისწინებული პირებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებაზე. უარის თქმის შესახებ განცხადებით უნდა მიმართონ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ან/და შპს „სანდასუფთავება“-ს.

მუხლი 5.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო მოსახლეობის დახმარების მიზნით დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული რიგი უფლებები. დეკრეტის საფუძველზე, გამოცემულ იქნა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლის თანახმადაც შეიზღუდა რიგი საქმიანობები.

არსებული შეზღუდვების მიხედვით მუნიციპალიტეტში მოქმედმა რიგმა ობიექტმა (დაწესებულებები, ორგანიზაციები იურიდიულ პირები და ინდივიდუალურ მეწარმეები) ფუნქციონირება შეწყვიტეს. შესაბამისად დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის მიხედვით ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი არ დაერიცხებათ იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ ფუნქციონირებენ (შეწყვეტილი აქვთ საქმიანობა ან სხვ.) შესაბამისად არ წარმოქმნიან ნარჩენებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ ეს პირები გათავისუფლდნენ მოსაკრებლის გადახდისაგან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში არსებული შეზღუდვის დროით.

„კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის №220 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოში ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის დახმარების მიზნით, ეთხოვა მუნიციპალიტეტებს შესაბამის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მიიღონ შესაბამისი ზომები საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის 2020 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვის დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებული საკითხის დარეგულირება.

შესაბამისად წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სრულად გათავისუფლებას 2020 წლის მარტის, აპრილის და მაისის თვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ხარჯების გაწევას;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები შემცირდება საშუალოდ - დარიცხვების მაჩვენებლის მიხედვით - 332 000 ლარით, ხოლო განვლილი სამითვის ფაქტიური გადახდების მიხედვით 185 000 ლარით.

წარმოდგენილი პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტით წესდება შეღავათები დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა მიმართ, რაც შესაბამისად აისახება პირების ფინანსურ შედეგებზე;

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ვ) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

N	საქმიანობის სფერო
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები
2	ოფისები, სააგენტოები (გარდა სახელმწიფო ორგანიზაციებისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტები/მწარმე სუბიექტები, რომლებსაც არ ეზღუდებათ ეკონომიკური საქმიანობა)
3	კინოთეატრები და თეატრები
4	სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები
5	სასტუმროები (გარდა იმ ობიექტებისა, რომლებსაც არ შეუწყვეტიათ ფუნქციონირება)
6	სტადიონები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ღია ტერიტორიები და მანეჟები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა)
7	სამრეწველო საქონლის მაღაზიები და ავთიაქები (გარდა ავთიაქებისა და ზოომაღაზიებისა)
8	აგარული და შერეული ბაზრები, ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები
9	ავტოსადგომები
10	საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე
11	მანქანის საჩვენებელი და გასაყიდი ნაგებობები
12	ა/მანქანების სარემონტო სადგურები, ტექ.მომსახურების ადგილები, ავტოსამრეცხაოები
13	აბანოები, საუნები
14	სადალაქოები და სილამაზის სალონები
15	მცირე სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები
16	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, კაფეები და ბარები
17	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის
18	დისკოთეკები, ღამის კლუბები
19	კაზინოები, ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი ცენტრები
20	ვაგზლები, აეროპორტები, რკინიგზის, საავტომობილო
21	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები
22	სამხედრო ნაწილები და პენიტენციარული სისტემები
23	საწარმოო ობიექტების ღია ტერიტორიები, სადაც მიმდინარეობს საწარმოო პროცესი
24	სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობები
25	საგამოფენო და საჩვენებელი დარბაზები

